ქუთაისის ცენტრალური სტადიონი

Кутаисский ЦЕНТРАЛЬНЫЙ Стадион

# ФУТБОЛ

# ფეხბურთი

XXXVIII ჩემპიონატი / *Чемпионат* I ლიგა / *лига*

**13**

მაისი
МАЯ
1976

„ტორპედო"
(ქუთაისი)

„პახტაკორი"
(ტაშკენტი)

***„ТОРПЕДО" — „ПАХТАКОР"***

***(Кутаиси)*** ***(Ташкент)***

დასაწყისი 18 საათზე
Начало в 18 часов

მეშვიდე ტურში პირველი დამარცხება იგემა „ნისტრუმ", რომელმაც საკუთარ მოედანზე წააგო მატჩი იაროსლავლის „შინიკთან" ანგარიშით 0:1.

ამრიგად, მერვე ტურისათვის წაუგებელი გუნდი აღარაა. ჯერჯერობით გამარჯვება რა უზეიმნია ნალჩიკის „სპარტაკს". მან ექვსი თამაშიდან სამი წააგო და სამი ფრედ დაამთავრა. გასულ ტურში „სპარტაკმა" შინ მიიღო „თერგი". თამაში დამთავრდა ფრედ 1:1.

კრასნოდარის „ყუბანმა" მიიღო ორჯონიკიძის „სპარტაკი", რომელიც ახლახან დაბრუნდა საფრანგეთიდან, სადაც მონაწილეობას ღებულობდა საერთაშორისო ტურნირში. გუნდებმა თითო ქულა ჩაიწერეს — 0:0.

„დაუგავამ" ერთი ქულა აიღო კემეროვოში „კუზბასთან" — 1:1.

ბაქოში საინტერესოდ ჩატარდა „ნეფტჩისა" და დღევანდელი ჩვენი სტუმრის „პახტაკორის" შეხვედრა. დაძაბული ორთაბრძოლა მოიგეს ბაქოელმა ფეხბურთელებმა 3:2.

ივანო-ფრანკოვსკში „სპარტაკმა" უმასპინძლა „რუბინს". ანგარიშით 2:0, გაიმარჯვა „სპარტაკმა". როსტოვის სკა-მ შინ მიიღო აშხაბადის „კოლხოზჩი", არმიელებმა ორი ბურთი გაიტანეს სტუმრების კარში — 2:0.

პერმის „ზვეზდა" დამარცხდა ზაპოროჟიეში „მეტალურგთან" — 1:2.

მეშვიდე ტურში ერთი შეხვედრა — „თავრია" — „პამირი" არ ჩატარებულა, ვინაიდან „თავრიას" გუნდი მონაწილეობას ღებულობდა საბჭოთა კავშირის თასზე და იგი ამ დღეს ხვდებოდა ვოროშილოვგრადის „ზარიას". როგორც ცნობილია, „ზარიამ" შეხვედრის 90-წუთზე გაიტანა გადამწყვეტი გოლი, მანამდე კი „თავრიამ" ვერ გამოიყენა პენალტი.

სატურნირო ცხრილში შვიდი ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერია „ნისტრუ". მიუხედავად წაგებისა, იგი 9 ქულით პირველ ადგილზე იმყოფება, მეორე ადგილზე (ბურთების უკეთესი ბალანსით) გადაინაცვლა „კაირატმა", რომელსაც 8 ქულა აქვს. 8-8 ქულა აქვთ „ნეფტჩის" და „კოლხოზჩის". დაკარგული ქულების მიხედვით პირველ ადგილზეა „შინიკი", რომელმაც მხოლოდ სამი ქულა დაკარგა .ბოლო სამ ადგილზე შესაბამისად იმყოფებიან „ზვეზდა", ორჯონიკიძის და ნალჩიკის „სპარტაკის" ფეხბურთელები.

## სტადიონებს დისკვალიფიკაცია

ფეხბურთის საკავშირო სამმართველოში შედგა სპორტულ-ტექნიკური კომისიის სხდომა, სადაც განხილულ იქნა საკითხი — 1976 წლის საფეხბურთო ჩემპიონატისათვის სტადიონების მზადყოფნის შესახებ.

სხდომაზე მოწვეული იყვნენ ნალჩიკისა და გროზნოს სტადიონების დირექტორები ვ. უნაევი და ა. ნიჟეგოროდოვი, რომლებმაც კომისიას მოახსენეს ნალჩიკისა და გროზნოს სტადიონების მზადყოფნის შესახებ.

გამოირკვა, რომ ეს სტადიონები არ შემოწმებულა გულდასმით, მხოლოდ შედგენილია ფიქტიური აქტები სეზონისათვის მათი მზადყოფნის შესახებ.

„თერგისა" და „დაუგავას" გუნდების შეხვედრის დამთავრების შემდეგ ამ გუნდების უფროსმა მწვრთნელებმა პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ ასეთ სტადიონზე საკავშირო პირველობის ჩატარება შეუძლებელია, ვინაიდნ მოედნის ზედაპირზე შექმნილია პატარა გორაკები და ორმოები, ბალახის საფარი მხოლოდ 40 პროცენტს შეადგენსო.

ნალჩიკში „ნისტრუს" გუნდთან შეხვედრაში მეორე ტაიმი მიმდინარეობდა სუსტი განათების ქვეშ. ფეხბურთელებს უჭირდათ მხედველობა, განათების სიმძლავრე 180 ლუქსი იყო მაშინ, როდესაც მინიმალური სიმძლავრე 250 ლუქსი უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ ეს შეხვედრა სტუმრებმა მოლდაველმა ფეხბურთელებმა მოიგეს (1:0).

ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა მწვრთნელმა ლ. შევჩენკომ კომისიას მოახსენა, რომ როსტოვში ფეხბურთის შეხვედრები ტარდება თითქმის შიშველ სტადიონზე, სადაც ბალახის საფარი 10-15 პროცენტით თუ იქნება, ბაქოს „ნეფტჩის" გუნდთან შეხვედრაში გატანილი ოთხი გოლიდან ორი ბურთი ამ დატკეპნილი მიწის ოღროჩოღრო მოედნის ბრალია.

ფეხბურთის სამმართველომ მოედნების ცუდად მომზადებისათვის ნალჩიკის, გროზნოს და როსტოვის სტადიონების დირექტორებს გამოუცხადა სასტიკი საყვედური ხოლო ნალჩიკში და გროზნოში სტდიონები დისკვალიფიცირებულია პირობით. როსტოვის სტადიონზე თამაშის ჩატარება მოხდება მხოლოდ სპეციალური კომისიის დასკვნის შემდეგ. გამოყოფილია სპეციალური კომისია სტდიონების მზადყოფნის ხელახლა შესამოწმებლად.

ამასთან გამახვილებულ იქნა ყურადღება სტადიონებზე მაყურებელთა მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, მაყურებელთა უწესრიგობის შემთხვევაში წაგება ჩაეთვლებათ ადგილობრივ გუნდებს, ხოლო სტადიონები დისკვალიფიცირებული იქნება და თამაშები გადატანილ იქნება ნეიტრალურ სტადიონებზე.

---

## VII ტური

„ტორპედო“ — „კაირატი“-0-0

„ყუბანი“ — „სპარტაკი“ ორ.-0-0

„დაუგავა“ — „კუზბასი“-1-1

„სპარტაკი“ ნ. — „თერგი“-1-1

„ნისტრუ“ — „შინიკი“-0-1

„ნეფტჩი“ — „პახტაკორი“-3-2

„სპარტაკი“ ი. ფ. —„რუბინი“-2-0

სკა — „კოლხოზჩი“-2-0

„მეტალურგი“ — „ზვეზდა“-2-1

## VII ТУР

«Торпедо» — «Кайрат» — 0-0

«Кубань» — «Спартак» Ор.—0-0

«Даугава» — «Кузбасс» — 1-1

«Спартак» Н. — «Терек» — 1-1

«Нистру» — «Шинник» — 0-1

«Нефтчи» — «Пахтакор» — 3-2

«Спартак» И. Ф.—«Рубин»—2-0

СКА — «Колхозчи» — 2-0

«Металлург» — «Звезда» — 2-1

# Таблица розыгрыша

### Положение на 13 мая

| Команды | И. | В. | Н. | П. | Мячи | Очки | П.О. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| «Нистру» | 7 | 3 | 3 | 1 | 6-3=+3 | 9 | 5 |
| «Кайрат» | 6 | 3 | 2 | 1 | 10-7=+4 | 8 | 4 |
| «Нефтчи» | 6 | 3 | 2 | 1 | 5-1=+3 | 8 | 4 |
| «Колхозчи» | 7 | 4 | — | 3 | 8-11=—3 | 8 | 6 |
| «Металлург» | 7 | 3 | 1 | 3 | 11-6=+5 | 7 | 7 |
| «Шинник» | 5 | 3 | 1 | 1 | 4-1=+3 | 7 | 3 |
| СКА | 7 | 3 | 1 | 3 | 9-8=+1 | 7 | 7 |
| «Спартак» и-ф. | 7 | 2 | 3 | 2 | 6-5=+1 | 7 | 7 |
| «Пахтакор» | 7 | 3 | 1 | 3 | 8-7=+1 | 7 | 7 |
| «Терек» | 6 | 3 | 1 | 2 | 6-6= 0 | 7 | 5 |
| «Таврия» | 5 | 3 | — | 2 | 7-3=+4 | 6 | 4 |
| «Даугава» | 7 | 2 | 2 | 3 | 7-6=+1 | 6 | 8 |
| Кубань» | 7 | 2 | 2 | 3 | 6-6= 0 | 6 | 8 |
| «Рубин» | 6 | 2 | 2 | 2 | 2-4=—2 | 6 | 6 |
| «Кузбасс» | 6 | 1 | 3 | 2 | 4-6=—2 | 5 | 7 |
| «Памир» | 6 | 1 | 3 | 2 | 3-8=—5 | 5 | 7 |
| «Торпедо» | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6=—1 | 4 | 6 |
| «Звезда» | 6 | 1 | 2 | 3 | 5-7=—2 | 4 | 8 |
| «Спартак» Ор. | 5 | 1 | 2 | 2 | 3-6=—3 | 4 | 6 |
| «Спартак» Н. | 6 | — | 3 | 3 | 2-9=—7 | 3 | 9 |

**В таблицу не внесен результат игры —Таврия»—Памир»**

## Составы играющих сегодня команд

## „ТОРПЕДО“ Кутаиси - „ПАХТАКОР“ Ташкент

| | |
|---|---|
| Габелия | Филатов |
| Костава | Серостанов |
| Хурцилава | Долбоносов |
| Сулаквелидзе | Могильный |
| Шелия | Басов |
| Квирия | Жуков |
| Окропирашвили | Варюхин |
| Херхадзе | Корчеков |
| Пественидзе | Баканов |
| Шенгелия | Федоров |
| Нодия | Чуркин |

Капитан—ДЖ. ХЕРХАДЗЕ Капитан—В. ДОЛБОНОСОВ

Ст. тренер А. НОРАКИДЗЕ Ст. тренер В. БАШАШКИН

Судят встречу:

Судья всесоюзной категории **К. СМИРНОВ**

Судья республиканской категории **Г. ТАЛИКОВ**

Судья республиканской категории **Б. СЫЧЕВ**

все Ленинград

**Возможные изменения в составах команд и бригады судей будут объявлены по радио стадиона.**

| დღეს თამაშობენ | Сегодния играют |
|---|---|
| „სპარტაკი“ ორ. — „თერგი“ | «Спартак» Ор.—«Терек» |
| „დაუგავა“ — „ზვეზდა“ | «Даугава»—«Звезда» |
| „მეტალურგი“ — „კუზბასი“ | «Металлург»—«Кузбасс» |
| „სპარტაკი“ ი. ფ. — „შინიკი“ | «Спартак» И.-Ф.—«Шинник» |
| „ნისტრუ“ — „რუბინი“ | «Нистру»—«Рубин» |
| „თავრია“ — „კოლხოზჩი“ | «Таврия»—«Колхозчи» |
| სკა — „პამირი“ | СКА—«Памир» |
| „ნეფტჩი“ — „კაირატი“ | «Нефтчи»—«Кайрат» |
| „ტორპედო“ — „პახტაკორი“ | «Торпедо»—«Пахтакор» |

Отв. за выпуск **Карло Хурцидзе**

Кут. тип. № 5 з. 5522 т. 3000 уе 12678 цена 9 коп